სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

ერთიანი აგროპროექტი

ახალგაზრდა მეწარმე

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“

2018 წელი

პროგრამის შესახებ

ზოგადი მიმოხილვა

- „ახალგაზრდა მეწარმე “ - სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში.

- პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

- პროგრამა დაფინანსებულია დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) მიერ, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 4,110,000 აშშ დოლარს.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანია რეგიონებში:

- ეკონომიკური ზრდის გაძლიერება;
- კერძო სექტორის განვითარება;
- ახალგაზრდების ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობა.
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში განხორციელდეს ინვესტიციები

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება ახალგაზრდებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით.

ზოგადი პირობები

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას მიიღებენ საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდა მეწარმეები ან მათ მიერ დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (დამფუძნებლების 100 % უნდა შეადგენდეს ახალგაზრდებს);

18 წლიდან 35 წლამდე

18 წლიდან 40 წლამდე

- პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ახალი ბიზნესის დაფინანსებას, პროგრამის მიზნებისთვის ახალ ბიზნესად ჩაითვლება:
  - ბიზნეს საქმიანობა, რომელსაც იწყებს მეწარმე (რომელსაც არ გააჩნია მიმდინარე ბიზნესი)
  - ბიზნეს საქმიანობა, რომელსაც მეწარმე იწყებს ახალ მუნიციპალიტეტში;
  - ბიზნეს საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს მეწარმისთვის ახალ მიმართულებას;
- პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ისე არა სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულების დაფინანსებას

  არა სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობის წილი მთლიან დაფინანსების პორტფელში არაუმეტეს 20%

პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან.

პროგრამის განხორციელების არეალი

თანადაფინანსება განხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა:

- თბილისი
- რუსთავი
- ქუთაისი
- ფოთი
- ბათუმი

შენიშვნა: შეზღუდვა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულებაზე

პროგრამის აღწერა - კომპონენტები

კომპონენტი 01

დაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება

კომპონენტი 02

პროექტების დაფინანსება - ფინანსური დახმარება

კომპონენტი 03

დაფინანსების შემდგომი ტექნიკური დახმარება

დაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება



საკონსულტაციო მომსახურება

პოტენციური ბენეფიციარები მიიღებენ კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურებას ბიზნეს გეგმების შედგენის მიმართულებთ.

საწარმოო პროცესის შეფასება

ბიზნეს გეგმაში საწარმოო პროცესის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი ექსპერტები შეაფასებენ წარდგენილი ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისობას და შეუსაბამობის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს, როგორც პროცესის მართვასთან, ასევე ბიზნეს გეგმით წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით;

ბიზნეს გეგმის დაფინანსება

ბიზნეს გეგმის ღირებულების ანაზღაურება მოხდება პროგრამის ბიუჯეტიდან

პროექტების დაფინანსება - ფინანსური დახმარება



სააგენტოს თანადაფინანსება

პროექტის ღირებულების 40%, არაუმეტეს 60,000 ლარი

40%

60%

საკუთარი თანამონაწილეობა

საკუთარი თანამონაწილეობის თანხა შესაძლებელია მოძიებული იქნას როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე საბანკო კრედიტით (შეღავათიანი აგროკრედიტი).

პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 000 ლარს

- ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ინვენტარის და/ან ბიზნეს ადმინისტრირებისთვის საჭირო მშენებლობის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ბი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ჯამური ღირებულების 5%-ს. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა არ მოხმარდება ადმინისტრირებისათვის საჭირო ინვენტარის დაფინანსებას.

- წარდგენილ პროექტში საბრუნავი საშუალებების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 20%-ს, რომლის ხარჯვა უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების/შესყიდვის აქტით. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა დაიხარჯება მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესაძენად;

- წარდგენილი პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით (მომსახურების შემთხვევაში) ან/და ფორმა #2-ით (მშენებლობის შემთხვევაში).

- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების დახარჯვა უნდა განხორციელდეს ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რაც უნდა დასტურდებოდეს საგადახდო დავალებით/სალაროს ქვითრით (ჩეკი).

პროგრამის პირობები - სასოფლო-სამეურნეო მიმართულება

სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით მოხდება შემდეგი ბიზნეს მიმართულებების დაფინანსება:

- რძის გადამუშავება
- ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება
- სამაცივრე მეურნეობის მოწყობა
- მატყლის გადამუშავება
- თევზის წარმოება/ გადამუშავება
- სოკოს წარმოება/ გადამუშავება
- სუნელების წარმოება
- მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ფერმის მოწყობა
- ხორცის გადამუშავება
- ნახევარ-ფაბრიკატების წარმოება
- ჩაის გადამუშავება
- თხილის გადამუშავება
- ვაზის გაშენება
- საოჯახო მარნის ღვინის წარმოება

არ დაფინანსდება შემდეგი სასოფლო-სამეურნეო მიმართულებები:

- სათბურის მოწყობა / გადაიარაღება;
- სასაკლაოს მოწყობა / გადაიარაღება;
- მრავალწლიანი ბაღების გაშენება
- ერთწლიანი კულტურების პირველადი წარმოება;
- მეფუტკრეობა;

პროგრამის პირობები - არა-სასოფლო-სამეურნეო მიმართულება

არა-სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულებით მოხდება ნებისმიერი ახალი ბიზნესის დაფინანსება საქართველოს რეგიონებში, გარდა შემდეგი ბიზნეს მიმართულებისა:

- აზარტული თამაშები
- სავაჭრო ობიექტი
- სალომბარდო მომსახურება
- საიუველირო ნაწარმის დამზადება
- რესტორნები და კვების ობიექტები
- ექსტრემალური სპორტი
- დეველოპერული საქმიანობა
- ელექტრონული ბიზნესი
- სატრანსპორტო მომსახურება
- სამშენებლო საქმიანობა

დაფინანსების შემდგომი ტექნიკური დახმარება

წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის დამტკიცების შემდეგ, პროგრამის ფარგლებში შერჩეული კვალიფიციური საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციარს დაეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საჭირო ღონისძიებაში.

1. თანადაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება
2. წარმოდგენილი ბიზნეს იდეის განხორციელების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შედგენა
3. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვის აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის ფაილინგი
4. სააღრიცხვო პროგრამის/სისტემის დანერგვა
5. ბიზნესის მართვისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება

დაფინანსების მიღების პროცესი



დაფინანსების მიღების პროცესი



დაფინანსების მიღების პროცესი



დაფინანსების მიღების პროცესი



დაფინანსების შემდგომი ტექნიკური დახმარება

პროექტის საინვესტიციო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს ყველა ხარჯს, გარდა შემდეგი ხარჯებისა:

1. პროექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შესყიდვა;
3. დიზაინერული მომსახურება;
4. დაზღვევა, მივლინება, ტრენინგი, მარკეტინგი;
5. საგანგაშო და ვიდეო-აუდიო სისტემები (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისა);
6. სერტიფიცირება და კონსულტირება;
7. საკრედიტო და სხვა დავალიანების დაფარვა;
8. საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
9. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენა;
10. სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
11. ცხოველების/ფრინველების შეძენა

განაცხადების წარდგენა

სააგენტოში განაცხადების და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა განხორციელდება ელექტრონული გზით, ვებ-გვერდის www.apma.ge-ს ან მასთან დაკავშირებული ვებ-გვერდის (www.danida.apma.ge) მეშვეობით.

www.danida.apma.ge

მადლობა ყურადღებისთვის

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა
„ახალგაზრდა მეწარმე“

2018 წელი